ინსპექტირების ანგარიში/ექსპერტიზის დასკვნა

1. **შედგენის თარიღი 18.10.2023წ.**
2. **შევადგინე ინსპექტორები/ექსპერტები :** *ბადრი ბარბაქაძე, ინჟინერ მშენებელი, 40 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.*

3. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** *ქ. თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი კორპუსის მდებარედ (ს/კ 01.11.13.011.725). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-#3)*
4. **ინსპექტირების ამოცანა:** *მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.*

5. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ინსპექტორები/ექსპერტებ:

/ბ.ბარბაქაძე/

6. **წარმოდგენილი დოკუმენტები:**

მუშა პროექტი - გრაფიკული ნაწილი (შემსრულებელი-შ.პ.ს. „საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯუფი“).

წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და მასში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა დამოწმებულია შ.პ.ს. „საქართველო- ისრაელის ბიზნეს ჯუფი“-ს ბეჭდით

7. **ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:**

ქ. თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი კორპუსის მდებარედ (ს/კ 01.11.13.011.725). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-#3)

სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში. ქარის ნორმატიული დატვირთვა - 73.0 კგ/მ2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა -50 კგ/მ2

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტების კონსტრუქციული ნაწილი რომელიც მოიჩავს ძირითადი კორპუსის და მიწისქვეშა ავტოფარეხის ნახაზებს.

ა).დაპროექტებული ძირითადი კორპუსი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის 12 სართულიან(+სარდაფის სართული) შენობას გეგმაში ზომებით 17.4 მ x 30.4 მ. სარდაფის სართულის სიმაღლეა 3.10 მ, ტიპიური სართულების - 3.30 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები,

მონოლითური სიხისტის დიაფრაგმები და რიგელებზე დაყრდნობილი მონოლიღური გადახურვის ფილები.

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციებია:

1. საძირკვლები:საძირკვლის ტიპად მიღებულია 0.8 მ სისქის მონოლითური რ.ბ. ფილა, რომელიც დაყრდნობილია თიხა გრუნტზე საანგარიშო წინაღობით 2.5 კგძ/სმ2.
2. სვეტები (პილონები): სვეტები ყველ სართულზე მართკუტხა კვეთებისაა სხვადასხვა ზომებით -800x500 მმ 5000x000 მმ და 600x500 მმ.
3. სიხისტის დიაფრაგმები: სიხისტის დიაფრაგმები წარმოდგენილია მონოლითური კედლევის სახით სისქით 300 მმ.
4. გადდახურვები: გადახურვები წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი რიგელებიანი ფილის სახით სადაც ფილის სისქეა 180 მმ ხოლო რიგელევის კვეთია 400x500 მმ ფილის სისქის ჩათვლით.
5. კიბეები: კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა მუშა კვეთის სისქით 200 მმ.
6. კედლები: სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 200 მმ, ხოლო სართულების შემომზღუდავი კედლების და ტიხრების მასალად პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია წვრილი ბლოკების თვითმზიდი წყობა სისქით 400 მმ და 200 მმ, რომელელთა სიხისტე კარკასის მუშაობაში გათვალისწინებული არ არის

ბ).ავტოფარეხის შენობა ერტ სართულიანია, განთავსრებულია მიწის ქვეშ და გამოყოფილია ძირითადი შენობისგან ჯდენის ნაკერით. გამოყოფილია ძირითადი სართულის სიმაღლეა 2.4 მ.შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კარკასი, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები,სარდაფის მონოლითური კედლები და რიგელებზე დაყრდნობილი მონოლიღური გადახურვის ფილები.

ავტოფარეხის შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციებია:

1. საძირკვლები:საძირკვლის ტიპად მიღებულია 0.8 მ სისქის მონოლითური რ.ბ. ფილა, რომელიც დაყრდნობილია თიხა გრუნტზე საანგარიშო წინაღობით 2.5 კგძ/სმ2.
2. სვეტები: სვეტები მართკუტხა კვეთებისაა სხვადასხვა ზომებით -400x400 მმ,
3. გადდახურვები: გადახურვები წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი რიგელებიანი ფილის სახით სადაც ფილის სისქეა 200მმ ხოლო რიგელევის კვეთია 400x400 მმ ფილის სისქის ჩათვლით.
4. კედლები: სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 200 მმ,

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 და B30 კლასების ბეტონი, A240c და A500c კლასის არმატურა.

შენობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულნი არიან მუდმივი და დროებითი დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე კომპიუტერული პროგრამის „ლირა-საპრ-2022“-ს გამოყენებით. მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულნი არიან ანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით და აკმაყოფილებენ სიმტკიცის და მდგრადობის ნორმებით წაყენებულ მოთხოვნებს.

პროექტი დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი შენიშვნები მუშა პროცეში გავლილი იქნა შემსრულებელ კონსტრუქტორთან, შესწორდა და პროექტი წამოდგენილი იქნა ახალი რედაქციით.

8. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743 2008წლის 25 აგვისტოს ქ.თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;*
2. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284 2009წლის 7 ოქტომბრის ქ.თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09);*

3. QRT/IB-7.1-01 ინსპექტირების პროცედურები.

დასკვნა

ქ. თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი კორპუსის მდებარედ (ს/კ 01.11.13.011.725). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-#3)) წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევათ დადებითი შეფასება და რეკომენდაცია დამტკიცებისათვის.

ინსპექტორები/ექსპერტები: /ზ.ბარბაქაძე/

ინსპექტირების დაწყების თარიღი 15.10.2023 წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი 18.10. 2023 წ.

ზ. ა.